

ააიპ „მედია-კავშირი ობიექტივი“

2021 წლის ანგარიში

ააიპ „მედია-კავშირი ობიექტივი“ რადიომაუწყებლობას, ლიცენზია B62 საფუძველზე, უზრუნველყოფს FM 105.1-ზე: ლიცენზიის სახე - კერძო რადიომაუწყებლობა, ლიცენზიის სახეობა - საერთო რადიომაუწყებლობა, ზონა - ქ. თბილისი.

თანამგზავრული ტელემაუწყებლობის ლიცენზია B114 საფუძველზე ვმაუწყებლობთ AZERSPACE 1-ის მეშვეობით.

მიწისზედა სატელევიზიო მაუწყებლობის ლიცენზია B162 საფუძველზე ვმაუწყებლობთ „სტერეო+“-ის და „მულტიპლექს თბილისი“-ს მეშვეობით. ლიცენზიის სახე - კერძო მაუწყებლობა.

ასევე მსმენელებსა და მაყურებლებს შეუძლიათ გვიყურონ და გვისმინონ პირდაპირ ეთერში ინტერნეტ ტელევიზიის საშუალებით მისამართზე - www.obieqtivi.info. ვებ-გვერდზე განთავსებულია დღის მნიშვნელოვანი ამბები, გადაცემათა ანონსი, გადაცემათა წამყვანები, სტუმრები და თემები, გადაცემათა ელექტრონული არქივი. გადაცემის წამყვანები არიან არა მხოლოდ ჟურნალისტები, არამედ საზოგადოების სხვა ცნობილი თუ ნაკლებად ცნობილი წევრები, განურჩევლად მათი პროფესიის, ეროვნების, მრწამსის, ასაკის, პოლიტიკურ-საზოგადოებრივი შეხედულების თუ სოციალური მდგომარეობისა.

ორგანიზაციაში შექმნილია მაუწყებელთა ქცევის წესებთან დაკავშირებული გასაჩივრების წესისა და ვადების განმსაზღვრელი დებულება, შექმნილია შესაბამისი კომისიები, გაწერილია პროცედურები.

ააიპ „მედია-კავშირი ობიექტივი“-ს მისია,

რომლის შესაბამისად ხორციელდება სამოქმედო გეგმა

ტელერადიო მაუწყებლობა საზოგადოებრივი მოდელის სახით, პირდაპირი ეთერის ნებისმიერი პირისათვის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა, საქმიანობის გამჭვირვალობა და საზოგადოების მაქსიმალური ჩართულობა, როგორც გადაცემების წამყვანის, ასევე რესპოდენტის პოზიციებზე.

მედია-კავშირი "ობიექტივი"-ს მისიის შესრულება უზრუნველყოფს საზოგადოების ობიექტური ინფორმაციით ინფორმირებულობას, დემოკრატიის ეროვნულ საფუძველზე აღმოცენება-განვითარებას, ქვეყანაში მიმდინარე პროცესებში ჩართულობასა და აქტივობის ამაღლებას. შესაბამისად, განისაზღვრა კონკრეტული მიზნები:

- საინფორმაციო - შემეცნებით - ანალიტიკური გადაცემების, ინფორმაციის თუ სხვადასხვა ტიპის მასალების მომზადება-გავრცელება;

- გადაცემათა თემატიკის მრავალფეროვნება, თითოეულ სეგმენტში კონკრეტული პრობლემების გამოაშკარავება და მათი გადაწყვეტის გზების ინფორმირებულობა;
- საზოგადოებაში არსებული მოსაზრებათა პოპულარიზაცია;
- საქართველოში მცხოვრებთა უმცირესობების ინტერესების გათვალისწინებით ინფორმაციის სხვადასხვა ენებზე გავრცელება, უმცირესობების შესახებ უმცირესობების მიერ მომზადებული პროგრამების მაუწყებლობა;
- საზოგადოების მაქსიმალური ჩართულობა, არამარტო პირდაპირ ეთერში სატელეფონო ზარებით, არამედ გადაცემებში, სოციალურ ქსელებში, ასევე სხვადასხვა სახის პროექტებში მონაწილეობა;
- მსმენელთა, მკითხველთა, მაყურებელთა მიერ გამოგზავნილ კითხვებზე ინფორმაციის მიწოდება ეთერში, ეთერს მიღმა, სოციალური ქსელით თუ ბეჭდური სახით.

ააიპ „მედია-კავშირი ობიექტივი“

შემდეგ წელს დაგეგმილი აქტივობები

- ტექნიკური აღჭურვილობის გამართვა, ხარვეზების გამოსწორება დაფარვის ზონაში;
- ვებ-გვერდის მუდმივი განახლება;
- პერიოდულად მსმენელთა გამოკითხვა საქმიანობის გაუმჯობესების მიზნით;
- გადაცემაში ტექნიკური თუ შინაარსობრივი ხარვეზების გამოსასწორებელი ღონისძიებები.

აღნიშნული ამოცანების განსახორციელებლად საჭიროა შესაბამისი ფინანსური წყაროს არსებობა. დღევანდელი მდგომარებით ააიპ „მედია-კავშირი ობიექტივი“ საეთერო მაუწყებლობას უზრუნველყოფს თანამშრომლობის მემორანდუმის, სარეკლამო გარიგებებისა და შემოწირულობების საფუძველზე.

წლის განმავლობაში განსახორციელებელი ღონისძიებებისთვის ორგანიზაციის შესაბამისი პერსონალი ზრუნავს სარეკლამო ხელშეკრულებების გარიგებაზე, რომელიც გულისხმობს სარეკლამო რგოლების ეთერში მაუწყებლობას, გადაცემის სპონსორობას, შესაბამისი საგრანტო განაცხადების გაკეთებას და სხვა.

ორგანიზაციაში შექმნილია მაუწყებელთა ქცევის წესებთან დაკავშირებული გასაჩივრების წესისა და ვადების განმსაზღვრელი დებულება, შექმნილია შესაბამისი კომისია, გაწერილია პროცედურები. 2021 წლის განმავლობაში არავის მოუმართავს განცხადებით ან/და საჩივრით.